საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტროს
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ თამილა ბარკალაიას

მ ო ს ა წ ვ ე ვ ი

ქალბატონო თამილა,

გვაქვს პატივი მოგიწვიოთ კონფერენციაზე „ექიმები ბავშვზე ძალადობის წინააღმდეგ“, რომელიც გაიმართება 2019 წლის 1 აგვისტოს, ქ. თბილისში. კონფერენციას ერთობლივად ატარებენ საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი და საქართველოს პედიატრთა ასოციაცია და იგი უკავშირდება ექიმთა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების ჩართულობის გაძლიერებას ბავშვზე ძალადობის პრევენციის, იდენტიფიცირების და რეაგირების საკითხებში.

კონფერენციის მონაწილეები გაეცნობიან საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდისა და პედიატრთა ასოციაციის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელოს „ძალადობა ბავშვზე - იდენტიფიცირება და რეაგირება“, რომელიც განკუთვნილია ექიმებისა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციებისთვის და შეიცავს დეტალურ ინფორმაციას ბავშვზე ძალადობის სხვადასხვა ფორმის კლინიკური სურათის, დიაგნოსტიკის, დიფერენციალური დიაგნოზის და ლაბორატორიული კვლევების თაობაზე. კონფერენციის მონაწილეები, ასევე, გაეცნობიან ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკას და ამ მიმართულებით მუშაობის გამოცდილებას საქართველოში.

კონფერენციაზე მოწვეულები არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სამედიცინო ასოციაციების, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებზე.

ღონისძიებაზე თქვენი დასწრება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

პატივისცემით,

ლია სარალიძე, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი